



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია



მოკლედ ეკონომიკაზე
ოქტომბერი, 2017



2017 წელს მშპ-ის რეალურმა წლიურმა ზრდამ შესაძლოა 4%-ს გადააჭარბოს

2017 წლის პირველ ნახევარში, წინასწარი შეფასებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 17.4 მლრდ. ლარია. პირველ კვარტალში მშპ-ის რეალურმა ზრდამ 5.1%, ხოლო მეორე კვარტალში 4.7% შეადგინა.


ცხრილი 1: მთლიანი შიდა პროდუქტი

	I-II კვ. 2016*	I-II კვ. 2017*	ზრდა
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. GEL)	15 667.7	17 384.1	11.0%
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. USD)	6 771.7	6 944.0	2.6%
მშპ ერთ სულზე (GEL)	4 211.3	4 675.4	11.0%
მშპ ერთ სულზე (USD)	1 820.1	1 867.6	2.5%
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	3.1%	4.9%	

* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი


აღნიშნულ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის 13.1% ვაჭრობაში შეიქმნა. თუმცა, მეორე კვარტლის მონაცემებით აღნიშნულ სექტორში მხოლოდ 3.7%-იანი რეალური ზრდა იყო. მეორე კვარტალში ყველაზე მაღალი ზრდით მშენებლობის (16.4%) და სასტუმრო-რესტორნების (12.9%) სექტორები გამოიჩინეს. ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორში 2.4%-იანი კლება დაფიქსირდა.

გრაფიკი 1: სექტორების რეალური ზრდა




* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი

გრაფიკი 2: მშპ-ის რეალური ზრდა საქართველოში



* წინასწარი შეფასება
წყარო: საქსტატი

გრაფიკი 3: მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა რეგიონში



* პროგნოზი
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ეკონომიკური ზრდის დაჩქარება განაპირობა როგორც შიდა, ასე გარე ფაქტორებმა. წლის პირველ ნახევარში იმატა ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, ინვესტიციებმა და ექსპორტმა. წინასწარი შეფასებით, მიმდინარე წელს მშპ-ის რეალური ზრდა 4% იქნება. თუმცა, თუ ეს პოზიტიური შიდა ფაქტორები შენარჩუნდა და საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკის გაჯანსაღების ტენდენცია გაგრძელდა (გრაფიკი 3), მოსალოდნელია, რომ 2017 წლის ეკონომიკურმა ზრდამ 4%-ს გადააჭარბოს.


საქართველოს მთავრობა 2018 წელს 4.5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. შესაბამისად, მომავალ წელს ნომინალური მშპ-ს მოცულობამ 40.4 მლრდ. ლარს უნდა გადააჭარბოს. 4.5%-იან ზრდას პროგნოზირებს მომავალი წლისთვის აზიის განვითარების ბანკიც. ჩვეულებისამებრ, უფრო კონსერვატიულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი, რომელის თანახმადაც მომავალ წელს 4.2% ზრდას უნდა მოველოდეთ. ანალოგიურია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროგნოზი (4.2%). ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით 4.0%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი 2018 წელს საქართველოში.

სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 6.2% შეადგინა

2017 წლის პირველ ნახევარში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე (4%) მაღალი იყო. წლის დასაწყისში აქციზის გადასახადის ზრდამ და, ასევე, მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და სურსათის ფასების მატებამ წლიური ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივი დონიდან გადახრა განაპირობა. წლიურ ინფლაციაზე ამ ფაქტორების გავლენა წლის ბოლომდე შენარჩუნდება.

სექტემბრის ბოლოს წლიურმა ინფლაციამ 6.2% შეადგინა. ინფლაციაში ყველაზე დიდი წვლილი კვლავ სურსათის, საწვავისა და თამბაქოს ფასების მატებამ შეიტანა.

გრაფიკი 4: წლიური ინფლაცია



2018 წლიდან აქციზის გადასახადის ცვლილებით გამოწვეული ფასების ზრდის ეფექტი წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე განეიტრალებდა. ეროვნული ბანკის პროგნოზით, მომავალ წელს ინფლაციის დონე მიზნობრივ მაჩვენებელთან¹ ახლოს შენარჩუნდება. 2018 წლისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდი 3.0% ინფლაციას პროგნოზირებს, ხოლო აზიის განვითარების ბანკი 4.0 პროცენტს.

ლარი კვლავ უფასურდება

2017 წლის სექტემბერში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი წლიურად 5.6%-ით გაუფასურდა. აღიშნულ პერიოდში ლარი გაუფასურდა როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს, ლირას და რუბლის მიმართ. სექტემბერში საშუალოდ 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.49 ლარი იყო.

გრაფიკი 5: ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ



მაისიდან მოყოლებული ლარის ევროს მიმართ გაცვლითი კურსი ეტაპობრივად უფასურდებოდა და სექტემბერის მეორე ნახევარში ერთი ევროს ღირებულებამ 2.97 ლარს გადააჭარბა. საშუალოდ სექტემბრის თვეში ევროს მიმართ ლარის გაცვლითმა კურსმა 2.94 ლარი შეადგინა.

1 2018 წლიდან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ს შეადგენს.


წლის პირველ ნახევარში საქონლის ექსპორტი 30%-ით არის გაზრდილი

2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 822.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 13.5%-ით მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. საქონლის ექსპორტი 1 234.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტმა 3 592.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

პირველი ორი კვარტლის მონაცემებით საქონლის ექსპორტი 30.1%-ით არის გაზრდილი. მისი უდიდესი ნაწილი (38.4%) დსთ-ის ქვეყნებზე მოდის, რადგან რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არიან. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა კი წლიურად 30%-ით არის გაზრდილი და 294.7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ევროკავშირში ძირითადი საქსპორტო საქონელი სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სასუქები და თხილეულობაა.


საქართველოს ძირითად საქსპორტო საქონელს შორისაა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენდნობები, ლვინო, მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები. ეს ხუთი სასაქონ-

გრაფიკი 6: საქონლით საგარეო ვაჭრობა (მლნ. USD)




ლო ჯგუფი მთლიანი ექსპორტის თითქმის ნახევარს შეადგენს. ექსპორტის მოცულობის ზრდის მიუხედავად მისი სტრუქტურა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა 2016 წლის პირველ ნახევართან შედარებით წელს საგრძნობლად შემცირდა თხილის ექსპორტი (40 მლნ. აშშ დოლარით) და სულ 29.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, აღნიშნული სასაქონო ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში 7.4%-დან 2.4%-მდე შემცირდა. დაავადებებისა და მავნებლების მიერ წლევანდელი მოსავლის ძირითადი ნაწილის განადგურების გამო, წლის მეორე ნახევარში თხილის ექსპორტის კიდევ უფრო კლებას უნდა მოველოდეთ.

გრაფიკი 7: საქონლით საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით (ათასი USD), I–II კვ. 2017*



გრაფიკი 8: ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (მლნ. USD),



2017 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა 216 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მისი ძირითადი ნაწილი ჩინეთში (47%), ხოლო 52% ევროკავშირის სამ ქვეყანაში - ბულგარეთში (31%) რუმინეთსა (11%) და ესპანეთში (10%) ექსპორტირდა. ფეროშენადნობების ექსპორტი კი 153 მლნ. აშშ დოლარს აჭარბებს და ძირითადი საექსპორტო ბაზარი რუსეთი (46%) და აშშ (29%) არის. რუსეთია ასევე ღვინის ძირითადი საექსპორტო ბაზარიც (57%). თუმცა, ჩინეთში ღვინის ექსპორტი პოზიტიური ტრენდით ხასიათდება. წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით, ჩინეთში 1 500 ტონით მეტი ღვინო ექსპორტირდა და ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 10 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა (4.8 მლნ. აშშ დოლართან შედარებით). შედეგად, ღვინის მთლიან ექსპორტში ჩინეთის წილი 3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 14.2% შეადგინა.


პირველი ექვსი თვის მონაცემებით, საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების ხუთეულშია ასევე მსუბუქი ავტომობილები (85 მლნ. აშშ დოლარი) და სამკურნალო საშუალებები (67 მლნ. აშშ დოლარი), რომელთა უდიდესი ნაწილი რეექსპორტს წარმოადგენს².

მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილების მხოლოდ 7% გაიყიდა აზერბაიჯანში, ექსპორტის ღირებულებამ 19.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო სომხეთში მსუბუქი ავტომობილების თითქმის ნახევარი გაიყიდა, თუმცა ექსპორტმა მხოლოდ 17.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ასევე ავტომობილების დიდი ნაწილი გაიყიდა რუსეთსა (22%) და უკრაინაში (14%).

ყველაზე მეტი რაოდენობით სამკურნალო საშუალებები უკრაინიდან (15%), ინდოეთიდან (8%), რუსეთიდან (7%) და თურქეთიდან (6%) იმპორტირდება. ხოლო უდიდესი საექსპორტო ბაზარი უზბეკეთი (40%), აზერბაიჯანი (16%) და რუსეთია (8%).

2017 წლის პირველ ნახევარში საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით 8.9%-ით არის გაზრდილი. უმსხვილესი სამი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფია ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები და მსუბუქი ავტომობილები. აღნიშნულ პერიოდში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტმა 285 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. უმსხვილესი მომწოდებელი რუმინეთია, თუმცა როგორც გრაფიკიდან ჩანს (გრაფიკი 9), თურქმენეთი და სხვა ქვეყნებიც მნიშვნელოვანი მოცულობის იმპორტს ახორციელებენ. რაც შეეხება ნავთობის აირებს, წლის პირველ ნახევარში მისმა იმპორტმა 182 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. აირების 91.6% აზერბაიჯანიდან იმპორტირდა, 8.4%-მდე - რუსეთიდან, დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის წილი კი 1%-საც არ შედგენს.

გრაფიკი 9: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი. I-II კვ. 2017*



* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი


2 მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის დაახლოებით 93% კლასიფიცირდა როგორც რეექსპორტი, ხოლო სამკურნალო საშუალებების 70%.

2017 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოში 2.8 მილიონი ტურისტი შემოვიდა

2017 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით ქვეყანაში 5.8 მლნ.-ზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა, რაც წინა წლის მონაცემებზე 19.2%-ით მეტია. ვიზიტორებიდან 48% ტურისტი იყო. მესამე კვარტლის ბოლოს არსებული მდგომარეობით ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა 28.8%-ით არის გაზრდილი წლიურად და 2.8 მლნ.-ს შეადგენს.

წინასწარი შეფასებით, წლის პირველ ნახევარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 26%-ით არის გაზრდილი.


გრაფიკი 10: უცხოელი ვიზიტორების განაწილება ქვეყნების მიხედვით, I-III კვ. 2017 წელი*



* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გრაფიკი 11: საქართველოში ტურისტების შემოსვლის დინამიკა (ათასი კაცი)




* წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 5.5%-ით შემცირდა

2017 წლის პირველ ორ კვარტალში საქართველოში ჯამურად 751 მლნ. აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. პირველ კვარტალში ინვესტიციების წლიურმა ზრდამ 3.7% შეადგინა, ხოლო მეორე კვარტლის მონაცემები წინა წლის მონაცემებს 14.3%-ით ჩამორჩება. შედეგად, 2017 წლის პირველ ნახევარში, წინა წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 5.5%-ით შემცირდა.


გრაფიკი 12: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ბოლო ხუთი წლის I-II კვარტლებში (მლნ. USD)



ინვესტორ ქვეყნებს შორის კვლავ აზერბაიჯანი ლიდერობს. მას მოყვებიან თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები. წლის პირველ ნახევარში საქართველოში შემოსული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30% აზერბაიჯანიდან განხორციელდა და 224 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 94% (211.7 მლნ. აშშ დოლარი) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ინვესტირდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2016 წლის პირველ ნახევართან შედარებით აზერბაიჯანიდან განხორციელებული ინვესტიციები 20%-ით (57 მლნ. აშშ დოლარით) არის შემცირებული.


მეორე ადგილს იკავებს თურქეთი 120.8 მლნ აშშ დოლარი ინვესტიციით და მთლიანი უცხოური ინვესტიციების 16%-ს შეადგენს. წინა წელთან შედარებით ინვესტიციები თურქეთიდან დაახლოებით 136%-ით არის გაზრდილი (69.5 მლნ. აშშ დოლარით). აღნიშნულ პერიოდში თურქეთიდან განხორციელებული ინვესტიციების დაახლოებით 70% სამშენებლო, ხოლო 23.5% ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში მიემართა. გაერთიანებული სამეფოდან განხორციელებული ინვესტიციები მთლიანი უცხოური ინვესტიციების 15%-ია და ძირითადად საფინანსო სექტორშია კონცენტრირებული (89%). ხოლო ნიდერლანდებიდან შემოსული ინვესტიციები მთლიანი უცხოური ინვესტიციების 8.5%-ს შეადგენს და შედარებით დივერსიფიცირებულია - დამამუშავებელი მრეწველობა (38%), სამთომპოვებითი მრეწველობა (22%) და ენერჯეტიკა (11%)

გრაფიკი 13: პირდაპირ უცხოურ ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით, I-II კვ. (მლნ. USD)



მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა (36.2%). თუმცა ამ სექტორში ინვესტიციები წინა წელთან შედარებით 30.2%-ით არის შემცირებული. ასევე საგრძნობლად არის შემცირებული ინვესტიციები ენერჯეტიკის სექტორში (-49.2 მლნ. აშშ დოლარი). მთლიანობაში, წლის პირველ ნახევარში, ათი უმსხვილესი საინვესტიციო სექტორიდან ექვსში ინვესტიციები შემცირებულია წინა წელთან შედარებით. ზრდა მხოლოდ ოთხ სექტორში დაფიქსირდა. მათგან აღსანიშნავია მშენებლობისა და უძრავი ქონების სექტორები, რადგან ჯამურად ამ ორ სექტორში, წინა წელთან შედარებით, თითქმის 160 მლნ. აშშ დოლარით მეტი ინვესტიცია განხორციელდა. შედეგად, მთლიანი უცხოური ინვესტიციების 16.7% მშენებლობის, ხოლო 12.7% უძრავი ქონების სექტორებზე მოდის.

გრაფიკი 14: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორებში (მლნ. USD)




* წინასწარი მონაცემები
წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები 57%-ით არის გაზრდილი


2017 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოში სულ 996 მლნ. აშშ დოლარის ფულადი გზავნილი ჩაირიცხა, რაც წინა წელთან შედარებით 57%-ით მეტია. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი გზავნილების მოცულობა ისრაელიდან (+163%), თურქეთიდან (+72%), რუსეთიდან (+54%), უკრაინიდან (+69%) და სხვა არაერთი ქვეყნიდან.

გრაფიკი 15: მიღებული ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით, I-III კვ. 2017 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკი 16: მიღებული ფულადი გზავნილები (მლნ. USD)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი პარიანტი განხილვის პროცესშია

საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტი. ბიუჯეტის პროექტი გათვლილია მთლიანი შიდა პროდუქტის 4.5%-იან რეალურ ზრდაზე.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შემოსულობები 12 298.0 მლნ. ლარია. ხოლო ასიგნებები 12 364.6 მლნ. ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის შემოსავლები 10 120.0 მლნ. ლარია, რაც 2017 წელთან შედარებით 630.5 მლნ. ლარით (6.6%) არის გაზრდილი. ეს ზრდა საგადასახადო შემოსავლების მატებამ განაპირობა. 2018 წლის სახელმწიფო ბიუ-

ჯეტით დაგეგმილია 9 470.0 მლნ. ლარი საგადასახადო შემოსავლების მიღება, რაც 650 მლნ. ლარით აღემატება 2017 წლის ბიუჯეტის გეგმას. ასევე დაგეგმილია 2 038.0 მლნ. ლარის ოდენობის სახსრების მოზიდვა ვალდებულებების ზრდის გზით.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში ხარჯები გაზრდილია 383.3 მლნ. ლარით და 9 504.5 მლნ. ლარს შეადგენს. ხარჯების 36% სოციალურ უზრუნველყოფაზეა გათვლილი, ხოლო 15% შრომის ანაზღაურებაა.

2018 წლის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის -1.6% იქნება. თუმცა ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციების გათვალისწინების შემთხვევაში დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში 3.3% იქნება³.

3 პირველ შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტი გამოითვლება სსფ-ს სახელმძღვანელოს GFSM 2001 მიხედვით. ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის თანახმად ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიც დეფიციტის ფორმირების წყაროდ ითვლება (GFSM 1986). წყარო: განმარტებითი ბარათი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. აგვისტო 2017

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (პირველადი ვარიანტი).

საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისთვის (გადამუშავებული ვარიანტი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება. ივნისი 2017

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი. 2017 წლის II კვარტალი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში (წინასწარი შედეგები). იანვარი-ივნისი 2017.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინფლაცია საქართველოში. სექტემბერი 2017

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. დასკვნა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. ოქტომბერი 2017.

Asian Development Bank. Asian Development Outlook 2017 Update: Sustaining Development Through Public-Private Partnership. September 2017.

International Monetary Fund. World Economic Outlook: Sustainable Growth – Short-Term Recovery, Long-Term Challenges. October 2017.

World Bank Group. Global Economic Prospects. June 2017.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.

ეკონომისტი: ნათია ბანცური

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მისამართი: გ. ლეონიძის ქ. 2 | ტელეფონი: 995 32 2202215 | ელ.ფოსტა: info@bag.ge

www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia

www.bag.ge